1866 – 1882

23 მაისი, კვირა. № 104

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერასიმის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება"

პირველი ს მაისიდამ წლის დასასრულამდის ღირს ექვსი მანეთი.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

## ტელეგრამმა

(„ჩრდილო-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

მოსკოვი 21 მაისს. გუშინდელს ტელეგრამმაში მოხსენებულ პირთ გარდა, გამოფენის გახსნაზე დაესწრნენ: ფინანსთ მინისტრი, გენერალიტეტი, ქალაქის წარმომადგენელნი, კონსულები, ექსპონენტები (გამომფენელნი), ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი, მხატვარნი, პროფესორები, აქტიორები და ბევრი ქალები. გამოფენის კარებთან ათი-ათასი ხალხი „ურას" ძახილით მიესალმა დიდ მთავარს. საუზმეზე, ხელმწიფის სადღეგრძელოს გარდა, დიდი მთავარმა, თ. დოლგორუკოვის ფინანსთ მინისტრის ბუნგეს და სხვების სადღეგრძელო დალიეს. უკანასკნელი სადღეგრძელო დალია დიდმა მთავარმა მოსკოვისა და იმის ქალაქის თავისა.

„მმართებლობის მოამბეში" გამოცხადებულია, რომ დასავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორობა ისპობა.

„ნოვოევრემიაში" იწერებიან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი გოტოვცევი სამსახურს თავს ანებებსო.

პარიჟი, 20 მაისს. ამბობენ, რომ საფრანგეთის თანხმობით, შეიკრიბება ევროპის უმთავრეს სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია ეგვიპტის საქმეებზე მოსალაპარაკებლად; საფრანგეთის აზრით, ეგვიპტეში მტკიცედ უნდა იქმნეს დამყარებული ის წესი გამგეობისა, რომელიც ახლა სუფევს.

პეტერბურღის ბირჟა, 21 მაისს.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 92—75 1/2 |
| მეორესი — — — — | 90—50 |
| მესამესი — — — — | 90—62 1/2 |
| მეოთხესი — — — | 90—37 1/2 |
| მეხუთესი — — — | 90—37 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89—87 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89—62 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89—62 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 8—5 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 217— " |
| მეორე სესხის — — | 210—50 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—31 | პენსი |
| ჰამბურღი — | 207—50 | ცენტი |
| პარიჟი — — | 255—75 | სანტიმი |
| ბერლინი — | " — " | პფენიგი |

## ქუთათური ამბები

### I.

აზნაურთ ბანკის წევრთა კრება.

სხდომა პირველი, 18 მაისს.

აზნაურთ კრების საქმემ შესცურა უბრალო მოკვდავთაგან უხილავს ბუნდში—ე. ი. სიები განსახილველად გადაეცა დეპუტატთა კრებას,—და მისს ნაცვლად იმერეთის საზოგადოებრივ მოქმედებისად წოდებულ ასპარეზზედ თავი წამოჰყო აზნაურობისვე ბანკის წევრთ კრებამ წასრულს სამშაბათს იმ სახლში, რომელსაც ხან „სამეფოს" უძახიან და ხან „სააზნაუროს", მაგრამ ნამდვილად კი არც ერთია და არც მეორე...

მოგეხსენებათ, ამ სახლის დარბაზში გრაფ სოლლოგუბმა შეაკეთა ძველი სცენა და გადმოიტანა ჩრდილოეთის მხრიდამ სამხრეთით. ამ სცენაზე სხედან: ზედამხედველი კომიტეტი აწ კალმით მებრძოლის ფიფინაშვილის თავსმჯდომარეობით შუაზე, გვერდით აღმოსავლეთით გამგეობა: ბანკის მმართველი ნ. ღოღობერიძე, მისს მარცხენით კენჭის საყარში გამოსასვლელი თ. მ. ფალავა და მარჯვენით თ. ნ. ერისთავი; ამ რაზმს თავმომწონედ ზურგს უმაგრებს ბუხჰალტერი მ. კამკოვი.

სიების წაკითხვის შემდეგ თ. კირილე ლორთქიფანიძემ—საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დირექტორმა, აზნაურთ ბანკის ზედამხედ. კომიტეტის ნაწევრალმა და ამასთანავე გაზეთის „შრომის" ბურჯმა—შემოიტანა წინადადება, რომ სხდომების უფრო წესიერადა და რიგიანად მოხდენისათვის ემჯობინება და წესად დავადგინოთ, რომ ვინც კრების პირველ დღემდის სამი დღის წინედ არ წარმოადგენს ვექილობათა, ის შემდეგ ნუღარ იქნება მიღებულიო. თუ ეს წინადადება შეწყნარებული არ იქნება, გთხოვთ პროტოკოლში ჩასწეროთო.

ამას წინაამღდეგნი გაუხდნენ თ. ანტ. ლორთქიფანიძე, ალ. ფიფინაშვილი და რამდენიმე სხვა პირნი კიდევ, რომელთ მთავარი აზრი ის იყო, რომ მაინც-და-მაინც სამი დღის წინად ვექილობათა წარმოდგენას ვერ ასწრობენ და ვერც ახერხებენ უმრავლესი ნაწილი სოფლის მცხოვრებთაო, ერთობ შევიწროება იქნება მათის ამ წინადადების მიღებაო და სხვ... ამაზედ კიდევ პასუხი, კვლავად პასუხის-პასუხი, რასაკვირველია, და ცარიელიდამ ფუქსავატში გარდასხმა.

ბოლოს იმით გარდაწყდა, რომ როგორც აქამდის მიგვიღია, ახლაც ისე მივიღოთო, ე. ი. კრების განმავალობაში ყოველ დღე, ვინც კი სათანადო საბუთებს წარმოადგენს.

ბანკის მმართველმა წაიკითხა მოხსენება გამგეობისა ბანკის მოქმედების ანგარიშზედ, რომლიდამაც შევიტყვეთ, რომ გასულს წელს გაცემულა სულ—281 ხანგრძლივი სესხი—1,315,100 მანეთისა. მათ შორის ქალაქის მამულებზე 1,135,100 მანეთ. და სოფლის—1,800,000. ბანკის დაარსებიდამ ამ წლის 1 იანვრამდე სესხად გაცემულია 3,067,000 მან. (გრძელ-ვად. სესხი; ამათ შორის არ ვთვლით იმ 105,100 მ., რომელიც უკვე გასტუმრებულია მსესხებელთაგან), მოკლე ვადიანი სესხი სულ იყო ამ წლის პირველ იანვრისათვის 84,990 მანეთისა.

საანგარიშო წელს ბანკს დარჩა წმინდა მოგება 53,815 მან. 94 კაპ., ესე იგი წასრულ წლის მოგებაზედ 17,803 მანეთითა და 78 კაპ. მეტი. ამ მოგების ნახევარი—26,807 მან. და 97 კაპ უნდა მოხმარებულ იქმნას საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ამავე მოხსენებამ შეგვატყობინა, რომ ფინანსთ სამინისტროს მხოლოდ სამი §, მეშვიდე, მეცხრე და მე-79 შეუცვლია ბანკის წესდებისა თანახმად შარშანდელ კრების გარდაწყვეტილებისა და დანარჩენი კი (თოთხმეტი §§) შეუცვლელად დაუტოვებია. რატომ და რა მიზეზით? ამაზე სამწუხაროდ

---

„დროების" ფელეტონი, 23 მაისი.

## გაშმაგებული ქალი

(ფრანცუზულიდამ ნათარგმნი)

(დასასრული*)

ამ დროს მოისმა წყალ-წყალას და ალ-წითელას ჭიკჭიკი, თითქოს ფრინველები ერთმანერთს ეძახდნენ, ელაპარაკებოდნენ და პასუხს აძლევდნენ. რა საუცხოვოთ სტვენოდნენ! რა ძნელი გასაგები იყო კაცისთვის ამათი მშვენიერ დღესთან გამოსალმება.

მცენარენის სუნნელებამ დაჰბნიდა ალ-გაზრდა ქალი. ოცნებებმა ის აიტაცეს როგორც კვლავ. ამ ლასიგრილემ, სიჩუმემ დამშვიდებულმა ჰაერმა ისე აღელვა გაბრიელი, რომ თვალებიდამ ცრემლები სდიოდა.

ამოსულმა მთვარემ მოჰფინა დედამიწას თავისი ბრწყინვალე სხივები. დრო სწრაფლად გადიოდა. თუმცა მთვარე ისევ ისე მშვენიერი იყო, მაგრამ რამდენსაც მაღლა ადიოდა, უფრო ჰკარგავდა სიწითლეს და თან-დათან პატარავდებოდა. ის თავის გავლილ გზაზე თითქმის ზღვის ნაპირამდის სტოვებდა, ბრწყინვალეს და ნათელს კვალს. ამ კვალს დასცქეროდა გაბრიელი და ეგონა, რომ კაცის მომავალი ბედნიერებაც ამავე ბრწყინვალე, მიმზიდველ და სანატრელ გზათ უნდა წარმოვიდგინოთო.

მომცრო ფრინველები თავიანთ ჭიკჭიკით გამოესალმნენ დღეს და დაუთმეს ბულბულს ნათელი ღამე. ბუნებაც თანაუგრძნობდა ბულბულის სტვენას თავისი სიმშვიდით და სიჩუმით.

გაბრიელს თითქმის პირველად გაეგო იმათი საარშიყო სიმღერები და განცვიფრებით ყურს უგდებდა; იმას ეგონა, რომ ბულბული იმეორებს იმის მიჯნურის სიტყვებს.

—ეხლა თავისუფალი ვარ, შემიძლიან შეყვარება! დაიძახა ერთბაშად ქალმა,—ქმარს აღარა აქვს უფლება თავის მეუღლეზედ, რადგან იმას ულალატა და შეურაცხყოფა მიაყენა.

სწრაფლად გადიყარა თავიდამ ფიქრები თავის ქორწინებაზედ. ეხლა ნება აქვს თითონაც გადუდგეს თავის ფიცს, და მიეცა თავის სიყვარულის მოგონებას. ოცნებებმა განიტაცეს, რობერტი თვალ წინ უდგა. გრძნობდა სასიამოვნო აღელვებას, თითქოს ის დრო დაიბრუნა, როდესაც რობერტი მივიდოდა ან ამათსა, ან შევიდოდა ამათ ლოჟაში წარმოდგენის დროს; მაშინ ესენი ერთმანერთს რა გრძნობით და სიყვარულით დაუხედებოდნენ.

ამათთვის კმაროდა ერთმანერთის ხელის ჩამორთმევა,—ამათი უსაზღვრო სიყვარული ამაში გამოიხატებოდა. სულით და გულით ერთობა ჰქონდათ. როდესაც გაბრიელი და რობერტი მოულოდნელად დარჩებოდნენ ერთად ან საზოგადოებაში, ან მარტოთ მარტო, ისე გაიცდებოდნენ ერთიც და მეორეც, რომ ხმას ვერ ამოიღებდნენ, თუმცა დიდ სიხარულს გრძნობდნენ. რობერტი რომ ეტყოდა იმას:—რა რიგად მიყვარხარ!—გაბრიელის გული ათასჯერ გაიმეორებდა ამ ტკბილს სიტყვებს.

*) „დროება", № 103.

არაფერს გვეუბნება ბანკის გამგეობა თავის მოხსენებაში...

— მოხსენების კითხვის გათავების შემდეგ, თავსმჯდომარემ გამოაცხადა — როგორ ინებებთ ანგარიშის განხილვასო, გნებავსთ რამდენიმე ხნით შევსწყვიტოთ სხდომა, ახლავე ბრძანებთ თუ ხვალისთვის გადავდვათო? წარმოითქვა აზრი, კომმისია დავნიშნოთ, თუ კი მართლა რიგიანად გნებავთ ანგარიშის განხილვაო; მაგრამ უარყოფილი იქმნა. პირველი მოწინააღმდეგე ამ აზრისა იყო კნ. ლორთქიფანიძე, რომელმაც იქვე წარმოსთქვა თავის წვრილმან შენიშნევები ანგარიშის რამდენიმე მუხლებზე, განიმეორა ზოგი შარშანდელ კრებაში თქმული, მიიღო გამგეობის თავსმჯდომარისაგან პასუხი, გაჩუმდენ ბოლოს ორივე და ბოლოს თ. გარდამ ერისთავის წინადადებით ანგარიშის დამტკიცება გადაიდვა მეორე დღისათვის... და 165 მეკენჭე (მეტი არ მოსულა ჯერ) წავიდ-წამოვიდა 3½ საათზე „მუცლისა - თვისისათვის“ მსხვერპლის შესაწირავად...

## II

## ქუთაისის თავად-აზნაურთა კრება.

აზნაურთა დეპუტატთ კრება იხილავს მეკენჭეთა სიებს, რომელნიც წრეულს ერთობ გაიზარდა წარსულ კენჭის-ყრის სიებთან შედარებით. ეს კრება სიებს დასამტკიცებლად გადასცემს ბატ. გუბერნატორს, რომელიც იმედია ან იმ წამშივე მოაწერს ხელს ან და ბარე ოთხი დღე მაინც გააჩერებს, ვიდრე უკან დააბრუნებდეს...

შემდეგ დაიწყება საგუბერნიო კრების სხდომები, მაგრამ სად? ეს ცნობა არ იცის. ამბობენ კი სამეფო სახლში ნესტორ წერეთელი არას გზით არ მოახდენს კრებას, მეტადრე კენჭისყრის დროსაო, რადგანაც პირველად იქ გამართეს დს . . . . . — ვაი თუ ახლაცო?!..

იმ ყოვლად-ბედნიერ დღის შემდეგ, რაც იმერეთის თავად-აზნაურთ კრებამ ერთხმად დაადგინა მკითხველთათვის ცნობილი თავის ჩინებული ნაჩენი, მას ღამე არ სძინავს თურმე და მოსვენება არა აქვს — მართავს სადილ-ვახშამს ზედიზედ, ეპატიჟება გამვლელსა და გამომვლელს, იმრავლებს ავან - ჩავანთა, იხვეწება, იმუდარება და თანაც იმუქრება, — „არ დაღუპოთ თქვენი ქვეყანა, რამე იმისთანა არ ითხოვოთო (რა მოგახსენოს დიპლომატიურმა ენამ)... ნამეტურ ზემსტვოზე (თემობა) ენა არ დაძრათ, თუ არ გინდათ სრულიად მიწასთან გასწორდეთო.“

ამას გარდა ხან ერთის კარის-დიდიკაცის ნალაპარაკევს თხზავს, ხან მეორისას, რომ ვითომც მისს პეტერბურღში მისაკოსებელის სახსოვრად მყოფობის დროს მათ ეთქვასთ მისთვის: „რომ ითხოვდეთ თემობას, ეხლავე მოგცემთ, მაგრამ ვაი თქვენი ბრალი საწყლებოვო!...“

ამ ქვეყნის . . . . . . . . მომართულ ხრიკებს და ჭახრაკებს დაუმატეთ ის ჩუმი აგიტაცია, რომელსაც ჩადიან . . . . . . და თქვენ დამეთანხმებით, რომ დიდი ღვაწლი მართებსთ, თავდადებული ცდა და მუხლმოუხრელი ფაცური სჭირია ყოველს გონიერს მეკენჭეს, — ვისაც კი ქვეყნისთვის გული შესტკივა და მისთვის კეთილი უნდა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, — რომ საგუბერნიო კრებას მიაღებინოს იმერეთის მაზრის აზნაურთ ჩინებული გარდაწყვეტილებანი...

თავი და თავი საბუთი იმ ბატონებისა, რომელნიც თემობის შემოღებაზე წინააღმდეგნი არიან, ის გახლავსთ, რომ „დიდს გარდასახადს დაგვადებენ მიწებზედ, და იმისთანა მიწებზედაც კი, რომელნიც არავითარს შემოსავალს არ გვაძლევენო“. ამ უმეცრულ აზრს აქვე დავარღვევთ. „დიდი გარდასახადის“ გაწერა მიწებზედ არ იქნება, იქნება მხოლოდ შუათანა, საჭიროებათა დაკმაყოფილების შესაფერი, რომელიც ჩვენვე, ე. ი. ჩვენმა გუბერნიის სათემო კომიტეტმა უნდა გაწეროს, და ჩვენვე როგორ მოვიქცევით, ისე უგნურად, რომ დიდი გარდასახადი კისერს ვიდვათ იქ, საცა ცოტათითაც გამოვალთ?! გარდა ამისა, „სათემო დაწესებულებათა შესახებ კანონთ კრების*) მეთოთხმეტე მუხლით ვანსაზღვრულია, რომ რაც უნდა კარგი და ნაყოფიერი იყოს მიწა, მას დესეტინაზე (1¹/₈ ქცევა) 4 კაპეიკზე მეტი არ შეიძლება გაიწეროსო (გვ. 324). „სათემო გარდასახადის მიწის ხარკის“ განყოფილების პირველს, მეორე, მესამე და მეოთხე მუხლში (გვ. 320), და „ადგილობრივის სათემო გარდასახადის მიწის ხარჯზე დებულების“ მეცამეტე მუხლში (გვ. 324) გარკვეული, რომ მიწაზე ხარკ-ს გაწერის დროს მხედველობაში უნდა იქონიონ მიწის ღირსება, შემოსავალი და სივრცე.

ასე რომ სათემო გუბერნიის კამიტეტს შეუძლია, საჭიროების მიხედვით, ძლიან კარგს მიწაზე მეტი გარდასახადი დაადვას, ფხონსა და მწირზე კი სრულიად არაფერი...

მაშ რიღას უნდა გვეშინოდეს?! ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ უნდა ვითხოვთ თემობა მხოლოდ იმ პირობით, რომ „სათემო წესდებულება“ ჩვენი ქვეყნის პირობების-და-გვარად იქმნეს შეცვლილი.

თუ კი მმართებლობა შეიწყნარებს ჩვენს კანონიერს თხოვნას, მაშინ კამმისია, რომელიც შეამუშავებს ჩვენს ნიადაგზედ გადმოსანერგავად „სათემო წესდ.“ და მმართ. წარუდგენს „თემობა ამ გვარი გვსურსო. თუ მიიღებს ჩვენგან შეცვლილს „წესდ.“ მმართებლობა, ხომ კარგი, და თუ არა — თემობა არ იქმნება ჩვენში და რაღა გაეწყობა!

ამასთანავე, უთემოთ შეუძლებელია მოგვაწიონ ამორჩევითი მომრიგ. მსაჯულნი და ნაფიცნი, რომელთ შემოღებას ასე მწყურვალედ ვეწაფებით!

გახსოვდესთ, ბატონებო, რომ თემობის დროს გზები გზებს ევგანება, ხიდი — ხიდეს, ექიმი ყოველს საჭირო ადგილს გეყოლებათ, სკოლები სასოფლო ბანკები, გამომზოგავი საზოგადოებანი და სხვა და-სხვა კლასით გამრავლდებიან...

*) ვისაც სურს გაიცნოს რუსეთის სათემო დებულებანი უნდა გამოიწეროს: „Сборн. узаконеній, относящихся до земскихъ учрежденій, съ включ. рѣш. Прав. Сен. и правительств. разъясненій“. გამოცემული 1879 წელს.

## დღიური

გუშინდელს (21-ს) სხდომაზე [...]კასიის სამეურნეო საზოგადოებამ, [...] რონომის ბ. ხოჯაშვილის წინადად[...]ბით, გარდაწყვიტა: ა) რამდენსამე [...]გილას გაიგზავნოს კახეთში გოგირ[...] და საშხეფელები და ღარიბ გლეხ[...] სოფლის საზოგადოების თავდებობ[...] ნისიათ დაურიგდეს; ბ) ბ. ფილხველ[...]ურს დაენიშნოს ჯამაგირი და გა[...]ზავნოს კახეთშივე, რათა უჩვენ[...] ასწავლოს ხალხს თუ როგორ უნ[...] გოგირდს მოხმარება, როგორ უნ[...] მოაყარონ ის „ნაცრით“ ავათმყ[...] ვენახებს და გ) ამავე ბ. ფილხველო[...] მიეცეს უსასყიდლოდ 40 ფუთი გ[...]გირდი და საშხეფელები, რომ თა[...] ხარჯით უჩვენოს ხალხს იმის მოხ[...]რება.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ძლი[...] მოსაწონი განკარგულება ჩვენი[...] მეურნეო საზოგადოებისა. მაგრამ მარტო კახეთზე ზრუნვა [...] კმარა: ქართლი, იმერეთი, გუ[...] სამეგრელო, განჯის გუბერნია [...] მდგომარეობაშია, ამ გვარათვე [...] იქაური ვენახის პატრონები ნაცრ[...]გან, იმათაც შემწეობა და ხელის-[...]მართვა ეჭირებათ.

* * *

გაზეთს „დონის ხმაში“ („Донск[...] Голосъ“) შემდეგ საყურადღებო ამბავს ვკითხულობთ:

„დონის თავად-აზნაურთა საზო[...]დო კრებამ თავის სხდომაზედ, [...] 8-ს, ჩერკასკის მაზრის თავად-აზნაურ[...]თა წინამძღომლის ბ. დონეცკის წინა[...]დადებით, გარდაწყვიტა ხელმწიფე [...]პერატორის წინაშე იშუამდგომლ[...] რომ დონის მაზრის გაზეთებისა[...] ჟურნალებისათვის ცენზურა მოს[...]ბილი იქმნეს, ე. ი. ამ ჟურნალ-გა[...]თებს უცენზუროთ გამოსვლის მიეცესთ“.

* * *

---

ოპერის დროს, როდესაც დიდი ღამეები იყო, მოარშიყეებს ეს ღამეები ერთის წუთათ მიაჩნდათ და იქ გაგონილი სარშიყო სიმღერები ეგონათ, რომ მხოლოდ ამათთვის იმღერებოდა. რობერტი ისეთი გრძნობით იმეორებდა ხოლმე უბრალო სარშიყო სიტყვებს, რომ გაბრიელს კანკალს დააწყებინებდა, გაბრიელს თან-და-თან უცხოველდებოდა სიყვარული. ის სახელი, რომლის ხსენება ვერ გაებედნა ქორწილის შემდეგ, ეხლა ხმა-მაღლა წარმოსთქვა: „რობერტ!“

— გაბრიელ! უპასუხა რობერტმა.

— თქვენა ხართ!.. შეჰკივლა ქალმა...—მითხარით, რომ გიყვარვართ კიდევ! გაიმეორეთ მეგობრის წინ, რომელსაც ეგონა თავისი გული მიწაში ჩაფლული, რომ აპატიეთ იმას უძლურება, ქორწინება, საზიზღარი შეუძლება მამისაგან გასყიდვა, რომლის პირობას მე ეხლა ვტეხ... რობერტ! გონებაზედ ვერ მოვსულვარ, საიდამ გაჩნდით სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენ შორის აყუდებული კედელი იქცევა... მითხარით, რომ არ დამივიწყეთ, გახსოვდით კიდევ?.. გამიმეორეთ ის ტკბილი სიტყვები, რომელიც ოდესმე ჩემთვის დაუვიწყარ დროს მსმენია შენგან...... ნულარ მოვიგონებთ იმ დაწყევლილს წელიწადებს, რომლებიც ჩვენ გვაშორებდნენ ერთმანერთს... სირცხვილი და შეჭირვება აღარად მიმაჩნია... გეუბნები მიყვარხარ!..

და როგორც გავშვი მივარდა რობერტს და გადაეხვია.

ეს ბედნიერება რობერტისთვის მოულოდნელი და გასაოცარი იყო. ის ერთს წამს შეჰკრთა. როგორ! ქალი, რომელმაც ისე თავის დაჭერით უარჰყო ის, ისე გმირულად იმსხვერპლა თავი, რომელიც ამან ვერ დაივიწყა თავის დაუდევნელ და მხიარულ ცხოვრების დროს და რომელსაც აქამდის თაყვანსა-სცემდა, — ეხლა პირ-იქით თითონვე სთხოვს „შემიყვარეო“?!...

— ჭკვიანებისთვისაც ადგილი ყოფილა ზოგჯერ სისულელე ეუბნებოდა თავის თავს რობერტი.

— რობერტ! ჩქარა წამიყვანე აქედამ, მომაშორე აქაოერობას, თავს ნუ მანებებ! წავიდეთ იტალიაში, ხვალვე იქ ვიქნებით. მინდა ამ წამსვე თავი დავახწიო იმათ, ვინც ჩვენ გვაშორებდა. მძულს ყველა ჩემი სიყვარულის წინააღმდეგი. მინდა მოვიპოვო დაკარგული ნეტარება...

ახალგაზდა ქალი მოჰყვა ქვითინს.

ამ ცრემლებმა ცოტათ დაამშ[...] იმის აღელვება.

რობერტს აღარა უკვირდა-რა, [...]რიელიც აღარას ჰკითხავდა. ერთ[...]ნეთთან გადახვეულნი სტკბებოდ[...] სიყვარულით.

წყალს ჩქრიალი გაუდიოდა, [...]ბული დასძახოდა სიმღერებს. მო[...] შიყეები ავიდნენ მაღლობზე [...] მთის წვერზე მარტო იდგნენ ზე[...] და დედა-მიწის შუა, განათლებულ[...] მოკიმკაშე მთვარეთი... ღამის [...] აგრილებდა ამათ და ბაღის სხვა[...] სხვა სუნელებით სტკბებოდნენ.

თვალი თვალში გაყრილნი და[...] დახვეულნი თითქმის ერთმანეთის [...]ლის ძგერაც ესმოდათ... დაბნეულ[...] იყვნენ ალტაცებით...

რობერტი ერთს წუთს გონება[...] ოვიდა და ჰკითხა :

მ

თითქმის მთელი ამ მაისის განმავლობაში, მუდამ დღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც მოდის წვიმა და, ამის წყალობით, როგორც გვატყობინებენ, წლევანდელ სოფლის ნამუშევარს კარგი პირი არ უჩანს; ქალაქის ახლო-მახლო სოფლებიდამ გვწერენ, რომ ჯეჯილი და ბალახი ზოგან სრულიად დაალპო ამ შეუწყვეტელმა წვიმამაო.

* * *

ერთს რუსულ გაზეთში იწერებიან, რომ გრაფი ლორის-მელიქოვი ამ ზაფხულს კავკასიაში გაატარებს.

* * *

გაზ. „სტრანის" მე-47 ნომერში დაბეჭდილია კიშინევიდამ მიღებული საინტერესო კორრესპონდენცია, რომლიდამაც ზოგიერთ ადგილებს მოგვყავს:

„ჩვენს კლასიკურს გიმნაზიაში ექვსი წელიწადი დირექტორობდა ბ. კ-ჩი. კლასიკი ის თავის დღეში არ ყოფილა, ბერძნული კითხვაც კი არ სცოდნია და საზოგადოდ ყოველ მეცნიერებისაგან „თავისუფალი", ხელშეუხლებელი იყო; მაგრამ იმ დროს, როდესაც გრაფ ტოლსტოის სისტემა შემოჰქონდათ ჩვენში, სწავლა და მეცნიერება მაინც-და-მაინც საჭიროდ არ მიაჩნდათ დირექტორებისათვის: საჭირო იყო მხოლოდ, რომ ამ თანამდებობის მიღების მსურველს გამოეცხადებინა საქვეყნოდ, რომ იმას უყვარს ლათინური და ბერძნული ენები და მეტი არა უნდოდა-რა, დირექტორობას მიიღებდა.

„აი ამ ნაირად მიიღო დირექტორობა ჩვენს გიმნაზიაში ბ. კ—ჩმაც. პირველი საქმე იმისი იყო უფროს კლასებში სწავლის ფასის მომატება, ხუთ თუმნად გახადა. მიზეზად ამ ფასის მომატებისა ის მოიყვანა, რომ პარალელური კლასები უნდა გავხსნაო და საშუალება არა მაქვსო. მაგრამ ვაიარა რამდენიმე წელიწადმა და ამ კლასების გახსნაზედ ჩაჩანიც არ ისმოდა.

„ცოტა ხანს შემდეგ ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ გიმნაზიას ვალები დაედვაო. ზოგიერთ მასწავლებლებმა ჰკითხეს დირექტორს:—„ქალაქში ამბობენ, ვითომც ეკონომიური მხარე ჩვენი გიმნაზიის ცუდათ მიდისო,—მართალი ეს ამბავიო?"—„ტყუილია!" იძახის დირექტორი, და მეორე დღეს უმაღლეს მთავრობასთან საიდუმლო ქაღალდს ჰგზავნის, რომ „ეს-და-ეს მასწავლებელნი კეთილ-საიმედონი არ არიან პოლიტიკურის მხრითაო!"

„1880 წ. ოდესის სამასწ. მაზრის პოპეჩიტელმა ბ. ლავროვსკიმ დანიშნა ჩვენი გიმნაზიის რევიზია. ახირებული ამბები აღმოჩნდა. შაგირდებისაგან სწავლის ფასად შემოტანილ ფულს ათი ათასი მან. აკლდა! ამას გარდა, დირექტორის ანგარიშით, სხვათა შორის, გამოდიოდა, რომ 3,600 მან. საკუტო ზალის გადასაკეთებლად დაიხარჯაო; ნამდვილ კი გამოდგა, რომ ამ ზალაში მხოლოდ შპალერი გამოეცვალა; გიმნაზიის ეზოს კედელზე 900 მან. დაიხარჯაო, ნამდვილ კი ამ კედლისთვის ხელიც არავის უხლია; ვენიდამ 12 დუჟინი სკამები დავიბარეო, ნამდვილ კი 5 დუჟინის მეტი არ დაებარებინა; და სხვა ბევრი ამისთანები.

„ერთის სიტყვით აღმოჩნდა, რომ ამ ბ. დირექტორს ექვსის წლის განმავლობაში ხუთი ათას თუმნამდინ (50,000) შეეჭამა სახელმწიფო ფული.

„მკითხავთ: რა უყვეს ამისთვის ამ პატივცემულ პირსაო? — არაფერი — სხვა მხარეში გადაიყვანეს ერთის საშუალ სასწავლებლის დირექტორად!"

* * *

გაზ. „კავკაზში" იწერებიან, რომ ვილაცაებს ამ დღეებში გაუცარცვავთ ალექსის (სამების) მონასტერი დუშეთის მაზრაში. ბევრი ოქრო-ვერცხლის ნივთი, რომელიც მიწაში იყო ჩაფლული სულ წაიღესო. გასაკვირველია, როგორ გაიგეს ეს ადგილიო, რადგან მხოლოდ მღვდელმა და დიაკვანმა იცოდა—თუ სად იყო ის ნივთი შენახულიო!

* * *

ქუთაისიდამ მოვიდა ტელეგრამმა, რომ გუშინ წინ, 21 მაისს, აქედამ წასულს ქართულს თეატრის დასს გაუმართავს თ. დ. ბ. ერისთვისაგან გადმოკეთებულის პიესის „სამშობლოს" წარმოდგენა. ამისთანა ამბავი ჯერ არ უნახავს ქუთაისს, რაც ამ წარმოდგენის დროს ეყოვო; ბილეთების ასაღებად იერიშით მოაწყდა ხარაზოვის თეატრს ხალხიო, ძალიან იტაცებდნენო. საზოგადოებას ისე მოეწონაო, რომ მოითხოვეს მეორედ წარმოადგინონ კიდევ ეს პიესაო და ამის გამო კვირას მეორედ უნდა წარმოადგინონო.

## „დროების" კორრესპონდენცია

**ოზურგეთი**, 14 მაისს. გუშინ მობრძანდა ოზურგეთში გურიის ეპარხიის მმართველი, ვიკარნი საქართველოს ეპარხიისა, გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე. გურიის სამღვდელოება შეეგება გზაზედ ყოვლად სამღვდელოს და მოჰყვა ოზურგეთის ეკკლესიაზედ, სადაც დიდ ძალი საზოგადოება დახვდა. ეკკლესიაში რომ შებრძანდა ქალაქის ეკკლესიის მღვდელმა ბლაღოჩინმა დავით დუმბაძემ უთხრა შესაფერი შესხმა, რომელშიაც გამოხატა გურიის სამღვდელოების მდგომარეობა და იმედი, რომელიც ახალ მწყემსთ მთავარზედ აქვს ხალხს.

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ უპასუხა:

„ღვთის კურთხევით ყოველივე მეცადინეობა იქმნება ჩემ მიერ მიღებული, რომ გურიას არ მოაკლდეს ის ნუგეში, რომელიც ბოძებიეს ხელმწიფისაგან 1844-ს წ.

მეორე დღეს 16-ს მაისს, კვირას, სულის-წმიდის მოფენისას ყოვლად-სამღვდელომ სწირა ქალაქის ეკკლესიაში. წირვის მომსმენლები ერთობ მრავალნი იყვნენ; სხვათა შორის ოცამდის მობულეთიდამაც იყვნენ თათრები მოსულნი და ეკკლესიასთან ახლოს იდგნენ.

წირვის შემდგომ ყოვლად სამღვდელომ ჰსთქვა მწყემსთ-მთავრული დარიგება და გამოუცხადა საზოგადოებას, რომ ის ამ დღეებში ოზურგეთში ქალების სასწავლებელს გახსნის და თავისი ხარჯით სახლი კიდევაც იქირავა. შემდეგ ქართულ[illegible] სასწავლებლის [illegible] შეგვპირდა.

ამ ამბავმა საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა და ევედრებიან ღმერთს რომ ამ კეთილ განზრახვას კარგი მსვლელობა ექმნეს. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელსაც ყურადღება მიაქცია. აგრეთვე ყველა სასულიერო ნაწილის მოსამსახურენი გამხნევდენ თავის მოვალეობის აღსრულებაზედ.

გურული.

## ტფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტ. ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და

---

— გაბრიელ, გეცოდინებათ......

მაგრამ გაბრიელმა არ დააცალა ლაპარაკი, პირზე ხელი დააფარა. უნდოდა არ აეშფოთებინა სიტკბოების ჟამი, არ გაექრო ნეტარება მიჯნურის შეხვედრისა და არ წაერთვა ნაზოვანი სიყვარული.

მთვარე მოეფინა მთას, ბულბულმა შესწყვიტა თავისი სიმღერა.

— წავიდეთ, წამოიძახა გაბრიელმა,—მამაჩემს ნულარ დამანახვებ!

— ვითომ რატომ, გაბრიელ? რადგან თქვენი ქმარი......

— რობერტ, ადმირალს არ იცნობთ განა? ის ათას საბუთს იპოვის სიძის გასამართლებლათ. არა, არ მინდა დავიჯერო, რომ ის დამნაშავე არ იყოს, რადგან იმის ლალატობა მე განთავისუფლებას...

— დაჩუმდი, ჩემო საყვარელო! ნუ ამცირებ ეგრე ჩვენ სიყვარულს. ეს ხომ იმის შეურაცხყოფაა. თავის დღეში ჩემი სიყვარული იქამდის არ მიაღწევს, რომ დაგამციროს შენ, გაბრიელ. ეხლაც არ გავბედავდი, ან მოვიდოდი, თქვენ რომ თავისუფალი არ ყოფილიყავით.

— მართალია, მე ეხლა თავისუფალი ვარ ვგრძნობ, რომ განვთავისუფლდი. ჩემი ბორკილი გაწყდა. მას აქეთ რაც თქვენ გვერდით მყევხართ, რობერტ, მე ვგრძნობ, რომ ჩვენ ვეღარავინ ვერ გაგვაშორებს. დღეს თუ ხვალ, თუნდ ამ საათშივე, როდესაც კი დამინიშნავთ, როდესაც კი მეტყვით: „წამოდი"—მე მზად ვიქნები გამოგყვეთ. მე ფიცი მიმიცია მოღალატესთვის და მევე ვტეხ ამ ფიცს, რადგან ის ჩემზე ადრე გადუდგა თავის სიტყვას.

— ოჰ! ჩემო კარგო, თვალით არ გეჩვენებოდი, ჩემს სიყვარულს რომ დაემცირებინე: მე შენ მინდიხარ როგორიც აქამდის ყოფილხარ: თავ-მომწონე, ამაყი, უმანკო, ყველასაგან პატივ-საცემი და ყოველ კეთილ შობილ ქალთან თანასწორი? იქამდის არ მივაღწევდი, რომ ჩემს სიყვარულს როდისმე სხვებთან გაეწითლებინე. შენ ჩემი იქნები როგორიც ხარ — ტურფა, პატიოსანი, სახელოვანი, უჩირქო და თუ აქამდის ბედი მტყუოდა, მგონი, იმიტომ რომ უფრო დაეფასო ჩემი უზომო ბედნიერება.

— მე არა გამეგება-რა, რობერტ...

— მე მოველ თქვენთან სათხოვნელათ. სიტყვა მომეცით, რომ გამომყვებით ცოლათ, როდესაც გაათავებთ გლოვას და შავებს გამოიცვლით?

— მერე კომანდირ ნეისზე რაღას იტყვით?

— თქვენი ქმარი დუელში მოჰკლა იმის სიყვარულის ქმარმა...

— რობერტ, მაშ სწორედ განვთავისუფლდი?

— ხომ იცი, ბერტა როგორ თანამიგრძნობდა, ჩემო კარგო. იმან დეპეშით შემატყობინა ამ დუელის ამბავი, მირჩია მოვსულიყავ შენთან ჩემი ბედის შესატყობათ.

— მაშ თავისუფალი ვარ?! ამბობდა გაბრიელი,—მე კი მეგონა, რომ მხოლოდ გაშმაგებული ვიყავ.

— ეხლაც თავისუფალი ხართ, ჩემო საყვარელო, რადგან ამ ერთს წელიწადზე ჩემი ცოლი გახდებით.

ანას თუმანიშვილისა.

უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი— ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

სომხეთ ნერსესის პოპეჩიტლების სოვეტში არის დანიშნული 26 მაისს, საღამოს 8 საათზედ, პირველი ტორგი იჯარით გასაცემად წმიდა სანთლის ვაჭრობისა სომხეთ ეკკლესიებზე და მრევლზედ.

მსურველს შეუძლიან წაკითხვა დაწერილებით პირობებისა ამავ სემინარიის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირისა და უქმ დღეების გარდა, დილის 10 საათიდამ ვიდრე 12 საათამდინ. (3—1)

ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანის სინოდის შუამავლობით ტფ. პირველ გილდიის ვაჭარს იაგორ მოსეს-ძეს გასუმოვს, მღვ. გევორქ ამულიანცს, თ. გიორგი პავლეს-ძეს არღუთინსკი-დოლგორუკის და ალექსანდრე არტაზოვს მიეცათ ნება-რთვა შესანიშნავ სანაინის მონასტრის განსაახლებლად ფულის მოგროვებისა ნება-ყოფლობით შესაწევარით. ამისთვის სინოდიდამ ზემოხსენებულ პირთა აქვს გარდაცემული კანონიერი წიგნი, რომელშიაც ქალაქის მცხოვრებლებმა უნდა ჩასწერონ თავის ხელით რამდენსაც ამ სულის საქმისათვის შესაწევარს გაიმეტებენ. ამ შესაწევარის მოსაგროვებლად ბ. ტფ. გუბერნატორის ნება-რთვაც არის მიღებული. (3—1)

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ისყიდება ვაზის ავადმყოფობის „ნაცარის“ წამალი

# გოგირდი

ფასი, ფუთი—2 მან. და 50 კაპ. აქვე ისყიდება აგრეთვე საბერველები ამ გოგირდის ვაზზე მოსაყრელად, თითო თითო მანეთად. (7—2)

ბოლგარულ-ინგლისური ბუთანი გოვარდისა მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ თ. ა. პეპინოვისაგან, რომელიც არის აგენტი ბ. გოვარდისა.

კანტორა პეპინოვისა არის ტფილისის ქალაქში, არწრუნის სახლში, დვორცოვის ქუჩაში. (6—1)

ვამლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად

# „ლივადია“

გოლოვინის პროსპექტზედ. (20—1)

# გოგირდი

ყურძნის ავთმყოფობის ნაცარის მოსარჩენი წამალი ისყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის ბაღში) ფუთი 2 მან. 50 კაპ.; კახეთში ისყიდება სოფელს ვაჩნაძიანში თ. ვლ. ჯანდიერისას, ფუთი 3 მან.

საბერველი, გოგირდის მოსაყრელად ვაზზედ, ისყიდება თითო 1 მანეთად. (5—2)

გამოწვევა

უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვინც იცის სად არის და სად სცხოვრებს ვენცელ ხრადეცკი (*Wenzel Hradezky*) 28 წლისა, რომელიც რუსეთში წავიდა პრაგიდამ და ამას წინაზედ მსახურებდა მცხეთაში თ. მუხრანსკისთან, შემატყობინოს ყველა ამ კაცის შესახებ ცნობანი მე, რადგან პრაგის სასამართლოსაგან ვარ ამ ვენცელ ხრადეცკის მზრუნველად. ამ კაცს მოუკვდა მამა ანტონ ხრადეცკი ამ წლის იანვარში და დარჩა 25,000 ფლორინის მემკვიდრეობა.

ანტონ ველნერი.

ადვოკატი პრაგაში. ადრესი:

*Prag Obsmarkt*, № 12. (3—2)

ნასწავლი უმაწვილი კაცი

ეძებს ალაგს მამულის მოსავლელად ანუ პრიკაზჩიკისას, ქალაქში ანუ სოფლად.

ადრესი: სასახლის ქუჩა, არწრუნის ქარვასლა, მინასოვის მაღაზიაში, ა. მ. (3—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობაში მსურველს შეუძლიან მუდამ დღე, დილის 9 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 1 საათამდინ, მოაწეროს ხელი და შესაწევარი შეიტანოს ყუბანის მხრის მაიკოპის მაზრის სტანიცა ცარსკოიში საყდარის ასაშენებლად სახსოვრად მიცვალებულის იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის ძისა. (3—2)

ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

# ჭყონია

მიიღებს ყველა სასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: ქუთაისში, სილაზე, მ. ჭყონიას სახლში. (5—5)

# „ВОСТОЧНОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Еженедѣльная газета безъ предварительной ценз. под ред. Н. М. Ядринцева.

Изданіе посвященное жизни провинціи окраинамъ.

Выходитъ съ 1-го апрѣля, цѣна 8 р.

Содержаніе №№ 1, 2, и 3: Востокъ и Западъ В. П. Васильева.—Колонизаціонный вопросъ на окраинахъ.—Что такое Поземельная Община С. Я. Капустина.—По поводу 300-лѣтія Сибири Е. В. Максимова.—Центръ и окраины С.—Русскій Востокъ и его будущность.—Провинціальный вопросъ и переселенія.—Жолтый вопросъ въ Америкѣ и въ Сибири.—Значеніе области въ русской жизни.—Беллетристика: Странникъ на золотомъ озерѣ Ядринцева.—Гонимые (изъ сибирскихъ нравов) Н. И. Наимова.—Воспоминованія и грезы восточнаго фельетониста.—Послѣдняя новости по переселенческому вопросу.—Сибирскіе вопросы и реформы.—Хроника.—Политическіе обзоры и вѣсти съ востока.—Обзоръ общественной и провинціальной жизни.—Корреспонденціи изъ Тобольска, Томска, изъ Барнаула, съ Алтая и т. д.—Хроника жизни за недѣлю.—Критика и библіографія.—Биржевыя извѣстія.—Объявленія.

Подписка въ конторѣ редакціи, Ивановская, д. 13, кв. 18.

Въ Тифлисѣ подписка принимается въ газетномъ агентствѣ В. ШАВЕРДОВА. (5—3)

ისყიდება

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცლები (ჯუთის მამულებისა) სამის ათასის მანეთის 12% დაკლებით.

მსურველს შეუძლიან იკითხოს „ალაზანის“ ღვინის სარდაფში, სოლოლაკის ქუჩაზე, ორბელის სახლში. იქვე ეკითხებათ მზარეული. (3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება

# ქურდ

# ყარამნის შვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძესთან.

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

ანგარიში

ხონის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა

1881 წლისა.

1 იანვარს 1881 წელსა იყო

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ. |
| --- | --- | --- | --- |
| წილის ფული . . . . | 2,658—84 | გასესხებული . . . . | 3,003—[illegible] |
| სასარგებლოთ შემოტანილი ფული . . . . | 141—40 | ნაღდი ფული . . . . | 77—1[illegible] |
| წმინდა მოგება, შერიცხული სათადარიგო თანხათ . . . . . . | 279—77 | | |
| სულ | 3,080— 1 | სულ | 3,080—[illegible] |

1881 წელს.

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. კაპ. |
| --- | --- | --- | --- |
| წილის ფული . . . . | 721— „ | გასესხებული ფული . . | 5,857— „ |
| დაბრუნებული სესხი . . | 4,794— „ | სამმართველო ხარჯი . . | 57—61 |
| სარგებელი . . . . . | 359—76 | | |
| სულ | 5,874—76 | სულ | 5,914—61 |

1 იანვარს 1882 წელსა არის:

| | | | |
| --- | --- | --- | --- |
| წილის ფული . . . | 3,379—84 | გასესხებული . . . . | 4,066— „ |
| სასარგებლოთ შემოტანილი ფული . . . . | 141—40 | ნაღდი . . . . . | 37—16 |
| სათადარიგო თანხა . . | 279—77 | | |
| წმინდა მოგება 1881 წლისა. . . . . . . | 302—15 | | |
| სულ | 4,103—16 | სულ | 4,103—16 |

გამგებელნი სამმართველოისა: ევთიმე ჯალაგანიძე. პავლე ქუთათელაძე. ბოგენტი ქუთათელაძე. (3—2)

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Мая 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხ[illegible]